F343
2001

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დილა

№5 2001

ყმაწვილი უნდა სწავლობდეს
საცნობლად თავისადაო:
ვინ არის, სიდამ მოსულა,
სად არის, წავა სადაო?



# შინაარსი:



ჭრიჭინა [illegible]



„ძლევაი საქართველოი“



შენი საუკეთესო მეგობარი

კომიქსი



თავსატეხები



[illegible]



პასუხები თქვენს კითხვებზე

მთავარი რედაქტორი
დოდო წივწივაძე
სარედაქციო საბჭო:
ლევან ბაბუხადია, თეა მიქაია,
ნანი კაკაჩია, მაგდა ქვაჭანტირაძე,
თამარ ნინიკაშვილი
ყდაზე ნახატი თეა მიქაიასი
მისამართი: თბილისი, კოსტავას №14,
ტელ.: 93 10 32, 93 41 30;
გამოდის 1904 წლიდან
ფასი: 2 ლარი და 50 თეთრი
ხელმომწერთათვის 2 ლარი

ბესიკ კეკელიძე

## სამშობლო

ცხვრის ფარებით დაწინწკლული,
მთები ადევებული,
ღვარცოფებით მოთქრიალე,
წყლები აღელვებული,
მინდორ-ველი ყაყაჩოთი,
ურცხვად გაწითლებული,
აღმართ-დაღმართ გადაშლილი,
კუთხე გაღმერთებული.
ყურძნის მტევნით გავსებული,
ზვრები გალაღებული,
პურის მარცვლით დახუნძლული,
ყანა ატალღებული,
წინაპართა სისხლით სავსე,
მიწა დაბერებული,
სამშობლოა შენი, ჩემი,
საყვარელი მამული.



ნანა საზანაძე

## პატარა ქართველის სიმღერა

დგას უტეხად მეტეხი –
ფუძე მიდგას სალისა,
მარლვში მიდუღს მამაცი
სისხლი გორგასალისა.
ზარი გვიხმობს მომავლის,
დრომ დარეკა სხვაგვარად,
ნარიყალაც ბებერი
მგლის მუხლებზე დამდგარა.



მხატვარი
ნანა საჯაია

**ია ჩადუნელი**

# კაცები

პატარა, ყვითელი ოთახი. ხელმარჯვნივ კედელთან დგას ასევე პატარა ლოგინი, მის თავზე საათი და უამრავი ნახატი კიდია. ზოგზე ახალი წელია გამოსახული, ზოგზე სკოლა, ბავშვები, ტყე, მანქანები და კიდევ ვინ იცის, რა. ფანჯარასთან მიდგმულ მაგიდაზე ანბანი, რამდენიმე რვეული, ორი კალამი და ფერადი ფანქრები დევს. გვერდით პატარა ბრაა. მაგიდასთან მხოლოდ ერთი სკამი დგას.

ხელმარცხნივ, ღია ყავისფერი კარადიდან, არეულად შეყრილი ტანსაცმელი მოჩანს. კარადის კარზე ცალი შავი წინდა კიდია, სამი ცისფერი ზოლით. იქვე, ღია ყავისფერ სავარძელზე, სიცივისგან ოდნავ ცხვირაწითლებული, თმებაჩეჩილი ექვსი წლის ლუკა მოკალათებულა. ჯემპრის სახელოები ისე ჩამოუწევია, თითებიც კი არ უჩანს. შარვლის ტოტაწეულ ცალ ფეხზე ლურჯი წინდა აცვია, მეორეზე – შავი, სამი ცისფერი ზოლით. სწორედ ის, რომლის მეორე ცალი კარადის კარზე დროშასავით კიდია.

ლუკამ საათს შეხედა. ორის ნახევარია.

„ჯერ ადრეა“, – გაიფიქრა, მაგრამ მაინც ადგა და აქეთ-იქით დაიწყო სიარული. მერე ფანჯარაშიც გაიხედა.

„ისევ თოვს, ნეტა, საიდან ჩნდება ამდენი თოვლი? ბექა კიდევ არა ჩანს. ამდენს რას სწავლობს? დამღალა ლოდინით ამხელა კაცი“. სავარძელს მიუბრუნდა. დიდხანს ვერ გაჩერდა, აწრიალდა, წამოდგა, ლოგინზე წამოგორდა. უცებ ისევ ადგა, ორს თხუთმეტი წუთი აკლია.

„ამდენ ხანს სად არის?! დღეს ხომ ოთხი გაკვეთილი უნდა ჰქონოდა?! ალბათ, ისევ თავის „ჭიამაიას“ ეპრანჭება, რა... „ჭიამაია“ არა




ახლა, „ფუტკარი“ კიდე. დაარქმევს ხოლმე სახელებს. ნეტა, რამ შეაყვარა ეგ მაია? ვითომ გრძელი თმები რომ აქვს? თუ ყველაზე კარგად რომ სწავლობს? თუმცა, მე არ მომწონს, გუშინ პარკიდან კარაქიანი პური ამოიღო და დასვენებაზე ჭამა დაიწყო. რომ ჰკითხო, მოდელი უნდა გამოვიდეო და მაგდენიც არ იცის, რო კარაქის ჭამით გასუქდება და ივლის მერე ნუნუკასავით... ღილებს ველარ შეიკრავს“.

ზუსტად ორია.

– ლუკა, ლუკა, გამოიხედე. ბექა ვარ! – მოესმა ეზოდან ხმა.

– მოვდივარ! – უპასუხა ლუკამ. „ძლივს რა“ -გაიფიქრა ბიჭმა. უცებ ქურქი ჩაიცვა, ქუდი დაიხურა, კაშნე მოიგდო და ხელთათმანებიც მოირგო, მაგრამ ჩექმაში ფეხი ვერა და ვერ ჩაყო.

„აუ, ისევ მარჯვენას მარცხენაზე ვიცვამდი, ველარ დავიმახსოვრე, რომელია მარჯვენა და რომელი მარცხენა. ბებომ კი მასწავლა, ის ფეხი, სადაც ხალი გაქვს, მარცხენააო, მაგრამ ამ სიცივეში ხომ არ გავიხდი და ხალების ძებნას ხომ არ დავიწყებ?!

როგორც იქნა, ჩაიცვა ჩექმები და პატარა ცულს ხელი სტაცა.

კარებთან მისი თანატოლი და მეგობარი ბექა იდგა. ისიც თბილად იყო ჩაცმული და ხელში უზარმაზარი საანგარიშო ეჭირა.

– აუ, ბექა, რა არი, რამდენ ხანს მალოდინე, კაცი ხარ ამის მერე?

– რა იყო, ბიჭო, შეყვარებული არ გყოლია?!

– მე კაცი ვარ, გოგოების „მაჩალკა“ კი არა.

– კარგი რა, ლუკა! ცული წამოიღე?

– ჰო, შენც არ დაგვიწყებია საანგარიშო.

– მაგას რა დამავიწყებდა?

რამდენიმე ქუჩა გაიარეს. სკოლაც უკან ჩამოიტოვეს და ამ საუბარში მიადგნენ კიდეც ტყეს.

– ლუკა, რაღაც ხმები არ გესმის? მგლები ხომ არ მოდიან, ნეტა?

– ალბათ. მოიცა, ცოტა უკან დავდგეთ და დაველოდოთ. დღეს რა ვასწავლოთ, მიმატება თუ გამოკლება? ისე, მე მიმატება უფრო ვიცი. შენ?

– მეც... ჰოდა, დღეს მიმატება ვასწავლოთ, ცული წინ დაიჭირე, რომ დაინახონ და უფრო შეეშინდეთ.

– ამხელა კაცს რომ დამინახავენ, მეტი რაღა შეშინება უნდათ?! – ამაყად უპასუხა ლუკამ.

და მართლაც, რამდენიმე წუთში გამოჩნდნენ მგლები: ლომა, ზარმაცა, სიზმარა, ზურიკო და ბაბილინა. ეს სახელები ბიჭებმა დაარქვეს და ასე მიმართავდნენ თავიანთ „მოწაფეებს“.

ზარმაცა და სიზმარა ბიჭების დანახვაზე მაშინვე ხეებზე აფოფხდნენ. ზურიკო და ბაბილინა ცულს დააშტერდნენ. დანარჩენმა სამმა მგელმა მოსვლა ვერ გაბედა, რადგან სწავლა მეტად არ უყვარდათ.

– აბა, ბავშვებო, – დაიწყო ლუკამ, – დღეს ვისწავლოთ მიმატება. აბა, სიზმარ, ერთ ქადას რომ ორი ხაჭაპური მივუმატოთ, სულ რამდენი იქნება?

შეშინებული მგელი მხოლოდ თვალებს აცეცებდა, ხეებზე ხტომა რომ სცოდნოდა, ამ „გაკვეთილს“ არავითარ შემთხვევაში არ დაესწრებოდა.

F 8273
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



— ბაბილინა, შენ რაღას იტყვი? არ იცი? ამდენი ხანი ტყუილად გასწავლიდი? მე კი შენი იმედი მქონდა, — უსაყვედურა ბექამ და საანგარიშოზე ერთი კოჭი გასწია. — გაკვეთილზე არ იჯექი, გოგო?! არ იცი და ორიანი!

— ეეე, ბექა, ისე, ზურიკო მაიას ბიძაშვილს მართლა ძალიან ჰგავს. ისიც სულ ასე აბურძგნილია და კბილებსაც არ იხეხავს.

— ლუკა, შეხედე, ის მგელი რა ცალი თვალით გვიყურებს. რომ შეგვჭამოს? ნახე, უკან კიდევ ერთი და გვერდზე კიდე... მეშინია!

— რისი გეშინია, ამხელა ცული რისთვის წამოვიღე?! გადავჩეხავ სუყველას.

— შენი თავი რემბო ხომ არ გგონია? თუ გამოგეკიდნენ, მერე ნახე.

— აბა, ზარმაცა, ვთქვათ, გვაქვს ოთხი კოწახურის კამფეტი და ლომამ შვიდი ფორთოხლის კამფეტი დაგიმატა, რამდენი გექნება? — განაგრძო გაკვეთილი ბექამ. — ზარმაცა ხმას არ იღებდა. — მითხარი ერთი, სკოლაში რისთვის დადიხარ? ხან კალამი გრჩება, ხან რვეული... თვლა ხომ ვერ გასწავლე და ვერა! თავი რატომ არ გრჩება? — გამოლანძღა ბექა მასწავლებელმა მგელი და თან საანგარიშოს კოჭებს აკლებდა.

— წარმოგიდგენია, — დაიწყო ბექამ, — დღეს გაკვეთილი არავინ იცის, აღარ შემიძლია, რისთვის ვხარჯავთ დროს?

საცოდავი მგლები, როგორც კი მიხვდნენ, რომ დღეს ვერც პურს ჭამდნენ და ვერც ძეხვის ნაჭერს მიიღებდნენ, ადგნენ და კლასიდან მოკურცხლეს.

ლუკა და ბექა კი გზას გაუდგნენ. სახლში ეჩქარებოდათ. ვაითუ ვინმეს გაეგო, ტყეში რომ დადიოდნენ.

— ლუკა, იცი რა, ხვალ ტორტის ნაჭრებზე რომ ვასწავლოთ მიმატება, აჯობებს. ტორტი უთუოდ ეყვარებათ.

— რა ვიცი, აბა, მაგათი რა გითხრა და, მე კი მიყვარს, თანაც ბევრი კრემი რომ აქვს... კარგი, კარგი, ხვალ ტორტზე ავუხსნათ, იქნებ გაიგონ რამე. ისე, დანარჩენ მგლებს როგორ ეშინიათ ჩვენი, არა?

— ხო, ლუკა, მაგრები ვართ!

და ბიჭებმა თავიანთი ქუჩისკენ გაუხვიეს. ბექა იმაზე ფიქრობდა, წაელო თუ არა ხვალ საანგარიშო, გრძნობდა, ტყუილად დაათრევდა. იმ ზარმაცებმა მაინც არასოდეს იცოდნენ გაკვეთილი.



მხატვარი ზაურ დეისაძე

## ბავშვთა შემოქმედება





*სოფიო ძიძიგური*
*მე-10 საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლე*

### ჩემო ქვეყანავ!

ჩემო ქვეყანავ, ზურმუხტო,
ლალო, ალმასო, ფირუზო,
ისევ გეზრდება შვილები
ქალები, ვაჟიშვილები,
იზარდონ, როგორც ვენახი,
მოედონ მთელსა ქვეყანას
გამრავლდნენ, როგორც ვარსკვლავნი,
ანათონ მთელსა ქვეყანას.



### მე პატარა ქართველი ვარ..

მე ძალიან მიყვარს საქართველო, სხვისი აზრი არ ვიცი, მე კი ძალიან მომწონს ჩემი სამშობლო. ამერიკაც მომწონს, გერმანიაც, საფრანგეთიც, ბრაზილიაც, მაგრამ ყველაზე მეტად საქართველო მიყვარს.

### ჩემი ლოცვა

ღმერთო, ჩემთვის არაფერს გთხოვ, მე არაფერი მიჭირს. მათხოვრებს დაეხმარე. ობლებს, ბრმებს. მე მინდა, რომ სხვებს დაეხმარო და არა მე.



*ნიკა ვავუა*
*II კლასის მოსწავლე*

### გზა

ყველას თავისი გზა აქვს. მაგალითად, მე ჯერჯერობით კარგი. მაგრამ მერე აღარ ვიცი. სხვები თავის გზას დაადგებიან. მეც ჩემს გზას და ასე გაგრძელდება, ზოგი გზა მამხიარულებს, ზოგი კი მანაღვლიანებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა





# სპილო ღამით

ვაჟა ყუბუსიძე

– რას აკეთებს ღამით სპილო?
– რას და... მაღალ ხეზე ადის,
რომ ხორთუმით გადასწიოს
საკიდური ღამის ფარდის
და აკვანი დაარწიოს
სხივნათელი განთიადის.



ჯემალ ჭელიძე

# ნაწყენის ჩივილი

უსირცხვილო, ცუდო გია
ნუთუ ვეღარ გაგიგია,
ყური მტკივა,
მალზე მტკივა,
წამდაუწუმ როცა მიწევ.
რად დამცინი
როცა ვტირი,
რად აცინებ ჩემზე ბიჭებს?
მტვერში ამოგანგლულია
შენი ფისო და მურია,
ნუთუ არ უნდა გრცხვენოდეს?
ცემაში ხარ მარდზე მარდი,
იცი როგორ გაგლახავდი,
შენი რომ არ მეშინოდეს.

მხატვარი
მალხაზ კუხაშვილი

# ძლევაი საკვირველი



ქართველმა ხალხმა ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე არაერთი სახელოვანი ბრძოლა გადაიხადა. ჩვენი წინაპრების მხედრული სიმამაცე მტერ-მოყვარეს აოცებდა. ქართველი და უცხოელი „ჟამთა აღმწერლები“ უამრავი ბრძოლის ამბავს მოგვითხრობენ. მრავალ სასახელო გამარჯვებაშიც კი გამოირჩევა დიდგორის ბრძოლა, რომელსაც თანამედროვეებმა „ძლევაი საკვირველი“ უწოდეს.

დავით IV აღმაშენებლის აქტიურმა პოლიტიკამ, წარმატებულმა ბრძოლებმა, შესანიშნავმა გამარჯვებებმა და თურქთა კიდით-კიდემდე შევიწროებადათრგუნვამ შეაშფოთა ოღუზსელჩუკთა შთამომავალნი. მათი დესპანები ეახლნენ სულთანს, შავად მოსილნი და შავად შეღებილნი, სავედრებელს ძონძებში გახვეულნი და თავზე მიწა და ნაცარდაყრილნი (იყო ვედრება-მუდარის ასეთი წესი). მათ სულთანს გაძლიერებულ ქართველთა და მათი გმირი მეფის – აღმაშენებლის წინააღმდეგ კოალიციური ანუ საყოველთაო, გაერთიანებული ლაშქრობის მოწყობა შესთხოვეს. თურქმან-სარკინოზთა უზარმაზარი ლაშქარი საქართველოსკენ გამოემართა. მემატიანეთა ცნობებით 300 ათასამდე მაჰმადიანი მეომარი შეიკრიბა. სულთანმა ამ უზარმაზარ არმიას ჯვაროსნების წინააღმდეგ ბრძოლებში სახელმოხვეჭილი ილ-ღაზი უსარდლა.

მეფე დავითმა საპასუხოდ საომრად გამზადება ბრძანა. მტრის უზარმაზარ ნიაღვარს მან 56 ათასი ერთგული მხედარი დაუპირისპირა. სახელმოსილი ბრძოლა, რომელსაც მემატიანემ „ძლევაი საკვირველი“ უწოდა, დიდგორის ველზე გაიმართა 1121 წლის 12 აგვისტოს. ბრძოლის ველს ქართველები ნიჩბისის ხევით მიადგნენ. შეტაკების წინ დავით აღმაშენებელმა სიტყვით მიმართა თავის მეომრებს და ქრისტეს სულისა და სამშობლოსათვის თავდადებისკენ მოუწოდა.

*„ეჰა, მეომარნო ქრისტიანენო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამცთუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევრებს, არამედ თვით ეშმაკსაც ადვილად დავამარცხებთ. და ერთ რამეს გირჩევთ: ჩვენ ყველამ, ხელების ცისკენ აპყრობით, ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ან გავიმარჯვებთ, ან ბრძოლის ველზე დავიხოცებით“.*

ამავე დროს მეფე დავითმა ხევებით ჩახერგა ხეობის შესასვლელი, რათა უკან დახევაზე არავის ეფიქრა.

ბრძოლის წინ სელჩუკებმა თავიანთ ნაცად ხერხს მიმართეს და ფსიქიური ზეგავლენის მოსახდენად საშინელი ხმაური ატეხეს. მათ ყიჟინას, იარაღის ჟღარუნს, ცხენთა ჭიხვინს მთა და ბარი ბანს აძლევდა. დიდმა მხედართმთავარმა დავით მეფემ მოახერხა მოლაშქრეების დამშვიდება.

ბრძოლა თურქებისათვის მოულოდნელად დაიწყო, – დავით მეფემ საბრძოლო ხერხს მიმართა. ქართველთა რიგებს გამოეყო 200 შეიარაღებული მხედარი და თურქებისაკენ გაეშურა. თურქებს მოღალატენი ეგონათ და დაუბრკოლებლად შეუშვეს შიგა განლაგებაში. უეცრად მოსულებმა ხმლები იშიშვლეს და გაოგნებულ თურქებს დაერივნენ. თურქების სხვა ნაწილებიც აირივნენ. მათ ეგონათ, ომი დაწყებულია და ვმარცხდებითო. მეფე დავითმა მტერს გონს მოსვლა არ აცალა და ორი ფლანგით ელვისებურად შეუტია. მარჯვენა ფლანგს თვითონ უსარდლა, მარცხენა კი უფლისწულ დემეტრეს ჩააბარა. არეულმა მტერმა უწესრიგოდ დაიწყო უკანდახევა, ქართველი მეომრები რამდენიმე დღე დევნიდნენ მტერს, რომელთა მეტად მცირე ნაწილმა შეძლო თავის გადარჩენა.

დავით აღმაშენებელმა უმცირესი დანაკარგით ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. მისი, როგორც უბადლო სარდლის სახელი უმალ გავრცელდა ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაში.





ნოდარ შოშიტაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

ელმირა კოტლიარი

# ზღვასთან

თარგმნა
ნარგიზა მგელაძემ

ზღვის ნაპირთან მოხოხდა
ფრთხილი ჭიანჭველა:
„მარილიან წყალში
ვერასგზით ვერ შევალ“.

გადაბჟირდა ჭრიჭინა,
ცხიკვებით და ხველით,
ამ წყალში რომ შევცურდე
მეტკინება წელი!

ობობამ თქვა ხვნეშით:
„მე ნუ გამრევთ სხვებში,
ჩემი შვილი ბემით ცურავს
წყნარ ოკეანეში“.
საიდანღაც მწივანა ხმა
მოიტანა ქარმა:
„ზღვის ნაპირზე კოღოს
მიჰოვია ქარვა“.

„ტკაც“, ზუმოდან მსუბუქად
მავი რწყილი ჩამოხტა.
ცივი წყალი არ ეამა,
კისრისტეხით წამოხტა.
ტალღას თავს გადაევლო
ბზიკუნია ბზუილა.
აინუნშიც არ ჩააგდო
იგი ტალღა ღმუილამ.

კვნესის ჭიამაია:
„მე თქვენ კი არ გეხებით.
ამ ოხერმა ცხელმა ქვიშამ
ლამის დამწვას ფეხები“.
პეპელა კი ასე
იმშვიდებდა გულსა:
„რას დამაკლებს ღელვა
მე, მველ მეზღვაურსა!“

შორს გამოკრთა ნათელი,
მოქრის ციცინათელა,
ერთხანს ჩამობნელებულ
არემარეს უყურა.
აიტანა სანთელი
და აანთო შუქურა.

„სულ ასე იციმციმე,
არასოდეს ჩაქრე,
ზღვაზე ვისაც დაუღამდეს,
ყველას გაუნათეო“.

მხატვარი
მანანა მორჩილაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# პასუხები თქვენს კითხვებზე



*ძვირფასო რედაქცია!*

*როგორც თქვენი ჟურნალიდან შევიტყვეთ, აპირებთ საბავშვო ენციკლოპედიის გამოცემას. მე და ჩემი მეგობარი ამ ამბავმა ძალიან გაგვახარა. ვიცით, რომ ქვეყნად ბევრი ენციკლოპედიაა. გვაინტერესებს, რომელია მათ შორის ყველაზე დიდი?*

***შორენა ტაბატაძე**, ქ. თბილისი*

პატარა ცნობისმოყვარენო!

მსოფლიოში ყველაზე დიდ გამოცემად ითვლება იმპერატორ იუნ ლოს მიერ გამოცემული სახელგანთქმული ჩინური ენციკლოპედია. იგი 11.870 ტომისაგან შედგებოდა. მარტო სარჩევი 60 ტომს შეიცავდა. გაითვალისწინეთ ისიც, რომ იეროგლიფებით დაწერილი ტექსტი ნაკლებ ადგილს იკავებს, ვინემ რომელიმე ევროპულ ენაზე შესრულებული ჩანაწერი.

წიგნის ბეჭდვა მაშინდელ ჩინეთში დიახაც რომ იცოდნენ, თუმცა ეს უნიკალური ენციკლოპედია, სიდიდის გამო, სამ თუ ოთხ ეგზემპლარად გამოიცა. სამწუხაროდ, პირველი და მეორე ეგზემპლარი იმპერატორის სასახლის ხანძრისას დაიწვა, 1644 წელს, როცა მანჯურიელებმა ჩინეთის დედაქალაქი პეკინი აიღეს. უკანასკნელი ეგზემპლარი 1900 წელს დაიღუპა. იგი ბოქსიორთა აჯანყებამ* შეიწირა.

**1900-1901 წლებში ჩინეთში მომხდარ აჯანყებას, რომელიც გლეხებმა და ქალაქის ღარიბმა მცხოვრებლებმა იმპერიის ხელისუფლების წინააღმდეგ მოაწყვეს, ბოქსიორთა ანუ იხეტუანთა აჯანყება ეწოდა. აჯანყების ინიციატორი იყო ფარული რელიგიური საზოგადოება იხეციუანი („მუშტი სამართლიანობისა და თანხმობისათვის"). აქედანა მომდინარეობს სახელწოდება – ბოქსიორების აჯანყება.*



# „კიდობანი"



## სიან ფუს ქვის ბიბლიოთეკა

ჩინეთის ერთ-ერთ უძველეს ქალაქში, სიან ფუში, არის მსოფლიოში განთქმული ქვის ბიბლიოთეკა, რომელიც უცნაური მიზეზით შეიქმნა.

ორი ათას ორასი წლის წინათ იმპერატორ ცინ-შიხუნდის ერთი აზირებული აზრი აეკვიატა: ძველი წიგნები ჩემს შეხედულებებს ეწინააღმდეგება და იმპერიის ძლიერებას ძირს უთხრისო. ადგა და დახურა სკოლები, აკრძალა ყოველგვარი ფილოსოფიური პაექრობანი და ძველი წელთაღრიცხვის 213 წელს უკიდურესი ნაბიჯიც კი გადადგა – ბრძანა, ქვეყანაში არსებული ყველა წიგნი დაეწვათ. ის, ვისაც მისი ბრძანების აღსრულების შემდეგ წიგნი კიდევ აღმოაჩნდებოდა, ან სიკვდილით უნდა დაესაჯათ, ან ჩინეთის დიდი კედლის მშენებლობაზე, უმძიმეს სამუშაოებზე გაემწესებინ თ. იმპერატორის ბრძანებამ ბრძენი ჩინელები საგონებელში ჩააგდო. ბევრი ფიქრისა და თავის მტვრევის შემდეგ მათ გამოსავალი იპოვეს – გადაწყვიტეს, წიგნები რაღაც ისეთზე გადაეწერათ, რასაც ცეცხლი ვერაფერს დააკლებდა. ასე შეიქმნა სიგრძით ორმეტრნახევარი და სიგანით მეტრნახევარი ფილაქვების ბიბლიოთეკა. მხოლოდ ამის შემდეგ აღსრულდა იმპერატორის ბარბაროსული ბრძანება – ყველა წიგნი დაწვეს! ქვის ბიბლიოთეკამ გაუძლო ბრძანებასაც, ომებსაც, ხანძრებსაც, და ჩვენამდე მოიტანა ამ უძველესი კულტურის ხალხის გონებრივი და სულიერი საგანძური.



ეროვნული ბიბლიოთეკა




ბეჟან სვანიძე

## მზე

მიტომ არის დღენიადაგ
ცაში გამოკიდებული,
ყველაფერზე ლამაზია,
ყველაფერზე დიდებული.
მალიან რომ მოინდომო,
მებნო, მოვლო კიდით კიდე,
სხვას უკეთესს რას იპოვი,
მის ადგილზე რას დაკიდებ?



ზაალ ებანოიძე

## მასწავლებელი და მოსწავლე

– გაკვეთილი ხომ იცი? –
ცოტა ჩემსკენ მოიწი.
– აი, ია!
– სწორია, შიგ მარცვალი ორია.
– აი, თითი!
– კარგია, დრო არ დაგიკარგია.
– აი, უთო!
– ნამდვილად, გისწავლია
ადვილად.
– აი, კავი!
– ასეა, ლაპარაკი ხვნაზეა.
– ახლა რასაც აგიხსნი,
მომიმზადებ ხვალისთვის.



ნინო ბეზარაშვილი

## ჩემს სკოლას (გახსენება)

მთლად შემოჭრილხარ ჩემში,
როგორც შრიალი ვერხვის.
დღესაც მიღვივის მკერდში
შენი დაფა და მერხი.
ზარის გუგუნიც მესმის,
ტკბილი სიმღერის დარად,
დობილი მიხმობს გზიდან:
„ჩქარა წავიდეთ, ჩქარა!“
დრომ დამავიწყა ბევრი,
ფერი წაშალა ფარჩის
შენ ვერ შეგახო ხელი,
მარად ამ გულში დარჩი.



ნანა გოგოლაშვილი

## ყველაზე დიდი

ბაბუმ თქვა ჩემზე: ოჯახში
ყველაზე დიდი არისო.
თეფშით წინ ფაფა დამიდგა,
თავად კი ყანწი აივსო.

ამ სიბრძნეს ვერას მივუხვდი,
ვფიცავ ჩემს მამა-პაპასო.
აბა, ვის გაუგონია,
დიდები ჭამდნენ ფაფასო?



მხატვარი
თეა მიქაია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სულხან-საბა
ორბელიანი

# კატის გაზრდილი ლომი

მხატვარი ნანა სანაია



ერთი კატა დაიარებოდა. ნახა, ერთი ძუ ლომი მომკვდარა და ერთი ლეკვი დარჩომია.



წაიყვანა და ზრდა დაუწყო.



რა გაიზარდა და დიდი შეიქმნა, დაიწყო ნადირობა და ნადირის ჭამა. დღესა ერთსა ნადირი ვეღარ იშოვნა, თავისი გამზრდელი კატა შესაჭმელად მოინდომა. კატამ რა შეიტყო, გაექცა და ხეზე გავიდა.

F 8273



ლომი ძირს წამოუწვა, უთხრა: ჩემო დედის უსაყვარლესო და ჩემო დამარჩენელო გამზრდელო, ყოველი შენი ზნეობა რომ მასწავლე, ეგ ხეზე გასვლა რად აღარ მასწავლეო?



კატამ უპასუხა: ეს ჩემთვის შევინახე; რა ასრე გამიჭირდებოდა, მომხმარებოდაო.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაღაზიაში საჩუქრების შესარჩევად ოთხი მყიდველი შევიდა.



# გააფერადე

ერთნაირი ნივთები გააფერადე და თავსატეხის ამოხსნაც გაგიადვილდება

რა იყიდა თითოეულმა?



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩაინვორდი



შეადგინა 135-ე სკოლის VIII კლასის მოსწავლემ ნათია ბაღაშვილმა

1-3.დიდი ფრინველი, რომელიც საფრთხის მოახლოებისას თავს მიწაში მალავს; 2-5.რძის ნაწარმი; 4-7.მრავალკბილა მცენარე; 6-9.მდინარე საქართველოში; 8-11.რა ცხოველია გენა (მულტფილმიდან „ჩებურაშკა“); 10-13.კაცის სახელი; 12-15. ნაძვის ნაყოფი; 14-17.ქართული ნაძვის ხე; 16-19.პასუხს წინ უძღვის... ; 18-21.აშშ-ს დედაქალაქი; 20-23.მდინარე აფრიკაში; 22-25.ერთ-ერთი ზღაპრის გმირი, რომელმაც ცალთვალა ციკლოპი დაამარცხა; 24-27.ქართული საბავშვო ჟურნალი; 26-29.ალადინის ...; 28-31.მხოლობითი და მრავლობითი...; 30-33.მღრღნელი; 32-35.ქამარ-...; 34-37.ციტრუსი; 36-39. სახის ნაწილი; 38-41.ეგვიპტელი ფარაონების სასაფლაო; 40-43.საგამოფენო ...; 42-45.ბავშვის ენაზე – ახალი; 44-47.ყვავილი; 46-49.ავტომობილი; 48-51.ხილი; 50-53.მდინარე საქართველოში; 52-55.მუსიკალური ინსტრუმენტი; 54-57.შემოდგომის თვე; 56-59.კრივის მოედანი; 58-61.„სწავლობს ... ტიტინა“; 60-63.სად ატარებენ ცდებს? 62-65.მგალობელი ფრინველი; 64-67.ჩანჩქერი აშშ-ში; 66-69.კოსმოსური ხომალდი; 68-71.განსაკუთრებული ნიჭი; 70-73.მტირალა ხე; 72-75.დასასრული, ბოლო; 74-77.თევზის შვილი; 76-79.ძაღლის ჯიში; 78-81.თბილისის ერთ-ერთი უბანი; 80-83.დიდი ქვა; 82-85.სათაფლიაში მისი ნაკვალევია; 84-87.ლექსს სჭირდება; 86-89.მგლის გაზრდილი ბიჭი; 88-91.ჯუჯა ადამიანი; 90-93.ერთ-ერთი ჩაძირული გემის სახელი; 92-95.წონის საზომი ერთეული; 94-96.ლეგენდა, თქმულება.

## თავსატეხი

სკოლაში ჩატარებულ მათემატიკურ კონკურსში ადგილები ასე განაწილდა:

— გიორგიმ ელენეზე მეტი ქულა მოაგროვა;

— სოფომ ოთარს აჯობა, მაგრამ თედოს ჩამორჩა;

— აჩიკომ და ნინომ თანაბარი რაოდენობის ქულები მოაგროვეს, რითაც სოფოს აჯობეს, მაგრამ თედოს ჩამორჩნენ;

— ელენეს ნინოზე მეტი და თედოზე ნაკლები ქულა აქვს;

კონკურსში შეფასება 6-ქულიანი სისტემით ხდებოდა. გამოითვალე, რამდენი ქულა მიიღო თითოეულმა მონაწილემ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბონდო მაცაბერიძე

# გულქანდა



ეს ამბავი მაშინ მოხდა, როცა რაჭის მაღალმთიან ტყეებში სამი ვეებერთელა ძმა დევი ბინადრობდა.

თქვენ რა გგონიათ, დევები მარტოოდენ პანტა-ვაშლითა და ზღმარტლით არსებობდნენ? ერთი გენახათ, რა მადის პატრონები იყვნენ! იჯრაზე ორი უღელი ხარი არ ჰყოფნიდათ.

ირიჟრაჟებდა თუ არა, დევები კომბლებს ხელს დაავლებდნენ, ღრიალით ჩაცვივდებოდნენ სოფლის საძოვრებზე და დამფრთხალ ნახირს პირწმინდად გადარეკავდნენ ტყისკენ.

ატყდებოდა სოფელში ერთი მოთქმა-წიოკი.

ფეხზე იდგა დიდ-პატარა,

— ესენი მალე ჩვენც აღარ დაგვინდობენო — ამოყელცრემლავდნენ ბრაზმორეული სოფლის კაცები და ჩიბუხების ხრჩოლვით ჩაათენებდნენ კიდევ ერთ ღამეს...

დრო გადიოდა. არც დევებს უნელდებოდათ მადა, არც სოფლის მხსნელ-მოწყალე ჩანდა ვინმე.

და აი, ერთ დილით...

თუმცა, არა, მოდი, ისე გიამბობთ ამ ამბავს, როგორც ბებია მიყვებოდა, — მაშინ ხომ მეც თქვენი კბილა ვიყავი.

მაშ, ასე: იყო და არა იყო რა.

რაჭის ერთ მაღალმთიან სოფელში ცხოვრობდნენ მოხუცი ბებია და შვილიშვილი. ბიჭი სამი წლისა დაობლებულა. განგებას იმედად მოხუცი ბებია მოუვლენია მისთვის. შვილიშვილი გვერდიდან არ სცილდებოდა ბებიას. შინ თუ გარეთ ყელზე ეკონწიალებოდა. ამიტომ სოფელმა ბიჭს გულქანდა შეარქვა.

გამრჯე და მუხლმოუღლელი ქალი იყო ბებია. დღე და ღამეს შრომაში ასწორებდა. ცალი ფეხი სათიბ-სახნავში ედგა, ცალიც შინ — ფრთა-ჩლიქს უძღოდა.

დრომ და ჯაფამ თავისი ქნა, მოხუცს მკლავ-მუხლში ძალა გამოელია. შვილიშვილმაც შეატყო ბებიას დაუძლურება და უთხრა:

— ბები, მითხარი, სად დევს მამაჩემის სათევზაო ბადე, მდინარეზე უნდა წავიდეო.

— რას ამბობ, შვილო?! — გაიკვირვა ბებიამ, — ბადე ათ ფუთს იწონის და ასე ერთმა ციცქნამ როგორ უნდა ზიდოო.

— არა, მითხარიო!

— ეს აღარ მომეშვებაო, — გაიფიქრა ბებიამ და კიბე სხვენს მიაყუდა, — აი, იქა დევს, თუ ასეთი ძალა გაქვს, ადი და თავად ჩამოიტანეო, — უთხრა.

გულქანდა სხვენზე აძვრა, ათფუთიანი ბადე ბეჭზე მოიგდო და მდინარეზე დაეშვა.

საღამოს ერთი გოდორი თევზი მოიტანა შინ. გახარებულმა ბებიამ ნაწილი ქვაბში ჩაყარა და ცეცხლზე შემოდგა, ნაწილი მეზობლებს ჩამოურიგა.

მას უკან გულქანდა ყოველდღე დადიოდა მდინარეზე სათევზაოდ...



გავიდა ხანი. ზაფხულმა შეუმჩნევლად ჩაიარა. დადგა შემოდგომის სუსხიანი დღეები. თევზლიფსიტამაც ფარფლი აიკრა და გამოსაზამთრებლად ქვებს შეაფარა თავი.

ერთ საღამოს გულქანდა ხელცარიელი ბრუნდებოდა მდინარიდან. უცებ გვიმრნარიდან თხის პეტელი მოესმა.



გულქანდამ ბადე ბალახზე დადო და ხმას მიჰყვა. იარა, იარა და დაჭრილ თხას წაადგა თავზე. თხამ ბიჭს შეხედა და ჰოი, სასწაულო, ადამიანის ხმით ალაპარაკდა:

– შვილო, გულქანდა, შინდნარის ტყეში ერთადერთი მუხა დგას, მუხის ძირას თიკანი დავტოვე, დედაშვილობას, წადი, წამოიყვანე, გაზარდე და კარგ მეგობრობას გაგიწევს, ოღონდ გახსოვდეს, ტყეში სამი ძმა დევი ცხოვრობს, გაფრთხილდი საკბილოდ არსად გადაეყაროო.

გულქანდა მუხლებზე ჩაცუცქდა და თხას თავზე გადაუსვა ხელი. თხამ თვალი გაახილა და მზეს შეხედა. მზემ თითქოს რქაზე სხივი გამოსდო, – თხამ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და წამოდგა, მაგრამ უცებ სხივი გაწყდა, თხა ბალახზე მოწყვეტით დაეცა და სული დალია...

გულქანდა საჩქაროდ გაბრუნდა შინ, ჩამოხსნა მამის ნაქონი მშვილდ-ისარი, ბადე ბეჭზე მოიგდო და კარში გავიდა. ბებია წინ გადაუდგა:

– არა, შვილო, ჯერ ადრეა შენი დევებთან შებმაო!

– დიახ, უნდა შევებრძოლოო! – არ დაუჯერა ბიჭმა და გზას დაადგა.

მიდის გულქანდა. ჩასცილდა ორღობეებს, გადაიარა სოფლის განაპირა მინდვრები. პატარ-პატარა მდინარეც შეხვდა, ორი-სამი. საცაა შინდნარის ტყეში შევა. უცებ წინ მიმინო გადაუდგა:

– ბიჭო, გულქანდა, ეგ იარაღი რად აგისხამსო?! – ჰკითხა.

– ტყეში მივდივარ, დევებთან საბრძოლველადაო!

– ბიჭოს?!

– ჰო, აგრეა!

– იცოდე, ჭკვიანად იყავიო, – უთხრა მიმინომ და გაეცალა.

გულქანდამ გზა განაგრძო.

– მაინც რამხელა გული აქვთ ამ ბავშვებსო, – ჩაილაპარაკა მიმინომ და ბიჭს თვალი გაადევნა.

იარა გულქანდამ, იარა და საღამოს პირს მუხას მიადგა. დიდხანს უტრიალა ხეს, თიკანი კი ვერსად იპოვა. ამასობაში კიდეც ჩამოღამდა. ბიჭმა მშვილდ-ისარი ხეზე მიაწყო, თავად მუხის ფესვებზე წამოწვა და ღრმა ძილით მიიძინა.

გარიჟრაჟზე ტყე აშრიალდა, გაისმა შემზარავი ხმაური, გეგონებოდა, ქარიშხალი ამოვარდაო. გულქანდამ სწრაფად აიღო მშვილდ-ისარი და ხეს ამოეფარა. სად იყო და სად არა, მოცვივდნენ დევები, შორიახლო ცეცხლი დაანთეს და ირგვლივ შემოუსხდნენ.

– აბა, რა ვჭამოთ, რითი დავნაყრდეთო? – იკითხა უფროსმა ძმამ და დევებს გადახედა.

– მე, ერთი მსუქანი თიკანი მყავს გადამალულიო, – თქვა შუათანა ძმამ და ტომრიდან თიკანი ამოიყვანა. ის იყო თიკნისათვის თავი უნდა წაეცალა, რომ გულქანდამ ბადე მოისროლა და დევები შიგ მოამწყვდია.

გაოგნებული დევები აბლუყუნდნენ:

– ვინა ხარ, გამოდი, დაგვენახვე, აქ მოსვლა როგორ გაბედეო!

– გამოვალ და თვალსაც დაგიბნელებთო! – მიუგო გულქანდამ დევებს და მშვილდ-ისარი მოიმარჯვა.

დევებმა ბიჭს შეხედეს და გაოცებისაგან ისეთი ხმით გადაიხარხარეს, გეგონებოდათ მიწა იძვრისო.

– აბა, ვნახოთ, რა ძალისაც ბრძანდებითო! – უთხრა გულქანდამ დევებს და ბადის პირს მოუშვა.

ბადიდან პირველი უფროსი ძმა გამოვარდა. ის იყო, დევი ბიჭს უნდა სტაკებოდა, რომ გულქანდამ მშვილდი მოზიდა, დევს ისარი თვალში გაუყარა და თვალი ამოუგდო. რას იფიქრებდა დევი, ეს კუკნა ბიჭი თუ ასეთი ქამანდარი იქნებოდა. გამწარებულმა დევმა ისარი ამოიძრო და ღრიალით გასცილდა იქაურობას.

გულქანდამ კვლავ მოუშვა ბადის პირს.

ბადიდან შუათანა ძმა დევი გამოვარდა. ბიჭმა ისიც უფროსი ძმის კვალს გაუყენა...

ჯერი უმცროს ძმაზე მიდგა.

გულქანდამ ისეთი ძალით მოსწია მშვილდს, რომ ლარი შუაზე გაწყდა და ისარი ხელში შერჩა.





– აბა დამიდექო! – დევი ღრიალით ეცა ბიჭს, ხელში აიტაცა, ჰაერში დაატრიალა, მერე მთელი ძალით მოისროლა და მუხას მიანარცხა. გულქანდა გონდაკარგული დაეცა მიწაზე. დევი ისევ სწვდა ბიჭს, ხელში აიტაცა და შუაზე უნდა გაეგლიჯა, რომ სად იყო და სად არა, სახეში მიმინო დაეძგერა და თვალები ამოჰკორტნა. გამწარებულმა დევმა ბიჭი მიწაზე დააგდო და ღრიალით ტყეში შევარდა.

მიმინომ გულქანდას დახედა და თავი გადააქნია:

– რატომ ხართ ბავშვები ანცები? რად არ გეყურებათ უფროსებისაო, – ჩაილაპარაკა.

ბიჭი უსულოდ ეგდო ბალახზე. მიმინომ ფრთები დაიქნია, მუხის კენწეროზე შემოჯდა და ფრინველებს უხმო. თვალის-წამში მოგროვდნენ მუხასთან შაშვები და კაკბები, ქედნები, ჩხართვები, ბულბული და მოლაღური. ფრინველებს თან მოჰქონდათ დინდგელი და ზანდაროზი, კუნელის სალბუნი თუ ანწლის შანარი, გვაცაზანდური თუ ხილაური... წარმოიდგინეთ, ბიჭის საშველად ყვავიც მოფრაშფრაშტდა, – იქნებ, რკომ უშველოსო, – წამოიყრანტალა.

ფრინველებმა სიცილი დააყარეს.

– რა ვიცი, ასი წელია ვინახავო, – თქვა და დარცხვენით ბალახზე დადო.

არანაირმა წამალმა არ უშველა გულქანდას.

ცრემლად იღვრებოდნენ ფრინველები.

უცებ, ბუჩქებიდან თიკანი გამოკუნტრუშდა, ბიჭთან მივიდა და სახეზე ენა გადაუსვა.

გულქანდამ თვალი გაახილა და ფეხზე წამოდგა.

გახარებულმა ფრინველებმა ფრთა ფრთას შემოჰკრეს და ჟღურტულით აიჭრნენ ცაში. დიდხანს, დიდხანს იგალობეს და იბულბულეს. ამბობენ, დღესაც ახსოვს შინდნარის ტყეს მათი იმდღევანდელი მხიარულებაო...

გულქანდამ აიღო მშვილდ-ისარი, თიკანი წინ გაიგდო და შინისაკენ გაემართა.

მიდის გულქანდა. წინ თიკანი მიკინკილებს. გაიარა კარგა მანძილი, ხედავს, მდინარის ნაპირთან უმცროსი დევი ზის და ქვითინებს. გულქანდა დევს მიუახლოვდა და ჰკითხა:

– რა გაგჭირვებია, რა გატირებსო?

– განა ვერ ხედავ? – დაიბობორიყა დევმა და გულსაკლავად აზლუქუნდა, – ერთ გოლიათს შევებრძოლე, დამძლია, თვალები დამთხარა, აწი რა მეშველება, რა ვაკეთოო...

ბიჭს შეებრალა დევი და უთხრა:

– ადე, გამომყევიო.

უცებ დევს ბიჭის ხმა ეცნო, – შენ ის არა ხარო?! – წამოიძახა და გაქცევა დააპირა.

– მოიცა, აგრე უთვალსინათლომ როგორ უნდა იცხოვრო, წამოდი, სოფელში გამომყევიო, – უთხრა გულქანდამ.

– რადგან მიძმე, მინდა მეც სიკეთით გადაგიხადო, – მიუგო დევმა, – მდინარის გაღმა, სადგომში, უთვალავი ცხვარ-ძროხა, ხარ-კამეჩი მყავს დამწყვდეული, წავალ გამოვდენი და თან გავირეკოთო.

მართლაც, დევი მდინარის გაღმა გავიდა, გამოდენა სადგომში დამწყვდეული ნახირი და სოფლისკენ გაემართნენ.

მიდიან, თან გზაზე რაც ღარიბ-გაჭირვებული ხვდებათ, ყველას იმდენ პირუტყვს უტოვებენ, რამდენის მოვლა-გაძღოლასაც შეძლებენ, დანარჩენებს კი სოფლისაკენ მიერეკებიან.

ერთიასად გაიხარა სოფელმა გულქანდას დაბრუნებით. მოხუცი ბებია სიხარულის ცრემლს ვერ იკავებდა.

სოფლის მჭედლებმა უთვალავი ზანზალაკი გამოჭედეს, ნახირს შეაბეს და ბრმა დევი სამწყესურში ჩაიყენეს.

– ჰეი, ჰო, ოჰო, ჰოოო! – გასძახებს დევი გარიჟრაჟზე სოფელს და ორღობეებში მოწკარუნე ნახირს ნამიან საძოვარზე მიერეკება...

დღემდე შემორჩა რაჭის მაღალმთიან სოფლებს იმ წკარუნის ხმა...

გულქანდას გმირობის ამბავს დღესაც უყვებიან რაჭაში ძილის წინ პატარებს...

ბრმა დევის ბედი კი არავინ იცის...

**მხატვარი კოტე მაცაბერიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა



ელენე სალარიძე

## დაჩი და ვარსკვლავები

პატარა დაჩიმ რომ ნახა,
ცა, ვარსკვლავებით სავსე,
იკითხა, – ეს ნათურები
ვინ აზიდაო ცაზე,
ან ღამღამობით ვინ ანთებს,
რომ ციმციმებენ ასე?!

მარიამ წიკლაური-ძიძიგური

## როგორ გაჩნდა შავი არაგვი

– ერბო? – ასიოდ ქილა,
– კვერცხი? – ათასი ცალი,
– ცეცხლი? – ტკაცანით დაფრთხა
ტყეში ჭინკა და ალი.
ერბოკვერცხს უწვავს შვილებს
მელანო – დევის ქალი.
სურნელი გასცდა სამანს
ცეცხლზე ლაპლაპებს რვალი.
შეწვას ვინ აცლის ან კი,
ქრიამული აქვთ დევებს.
– ,,ლუკმას ნუ ელის ჩემგან
ვინც არ დაიბანს ხელებს!“–
თქვა მელანომ და მშვიდად
პურიც ჩააკრა თონეს.
ძმებმა დახედეს ზანტად
თავის ჭუჭყიან ტორებს.
დევები ჰქვიათ, მაგრამ
ურჩობას ვერვინ ბედავს,
ვინ შეუბრუნებს სიტყვას
ცხრა შვილის გამზრდელ დედას?!
ცხრავე მიასკდა არაგვს,
რას ეუოფოდათ ფშანი,
ქვით უხეხიათ დიდხანს
დევებს ტორები შავი.
ჰოდა, გამუქდა თურმე
ჭუჭყით ანკარა წყალი
მას მერე მოდის ასე
ამღვრეული და შავი.
– ის ერბოკვერცხი ჭამეს?
– გამოუყვანეს წირვა.
– ეგ როდის მოხდა? – როდის?
ალბათ დიდი ხნის წინათ...

მხატვარი დათო თოთიბაძე





ჯემალ ჯინჯიხაძე
რომანოზ დანელია

# სახალისო მათემატიკა

ხომ მოგეწონა ჩვენი მოგზაურობები ამოცანათა სამყაროში? გვჯერა, რომ ძალიან მოგეწონა. შენ ახლა იცი, ამოცანები არის ყველგან და ყველაფერში: ყვავილებში, ბალახებში, ზვრებში, ბაღებში, ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე... ბავშვებთან, ბეღურებთან, კურდღლებთან... უფრო სწორად, ამოცანები არსად არ არის, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ისინი მოვნახოთ ყველგან და ყველაფერში. ამის საშუალებას გვაძლევს ჩვენი გონების გასაოცარი და ლამაზი თვისება - აზროვნება.



მაგრამ აზროვნება არ არსებობს მშობლიური ენის გარეშე. ქართული ენა კი ძალზე მდიდარი და ულამაზესი ენაა, მოქნილი, სხარტი, ჯადოსნური ჰანგებივით დამატკბობელი. სწორედ ამიტომ არის, რომ ნებისმიერი ამოცანა მრავალნაირად შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ.

მაგალითისათვის ავიღოთ ჩვენს მიერ მოგზაურობისას შედგენილი ამოცანის მსგავსი ერთი ამოცანა: პირველკლასელებმა სკოლის ეზოში 8 ძირი იასამანი დარგეს. 2 ნერგი გახმა. რამდენმა იასამანმა იხარა?

როგორც ხედავ, ამოცანა ლამაზად არის ჩამოყალიბებული. მაგრამ განა არ შეიძლება ასე ითქვას? „პირველკლასელებმა სკოლის ეზოში 8 ძირი იასამანი დარგეს. რამდენმა იასამანმა იხარა, თუ 2 ნერგი გახმა?“ ან კიდევ: „რამდენმა იასამანმა იხარა ბაღის ეზოში, თუ პირველკლასელთა მიერ დარგული იყო 8 ძირი და 2 მათგანი გახმა?“ ხედავ, რა კარგია?



ეს შენიშვნა ყველანაირ ამოცანას ეხება. მაგრამ ერთი შემთხვევა - განსაკუთრებულია.

განვიხილოთ ამოცანა: ჯემიკომ 10 ვაშლი მოწყვიტა, გიორგიმ კი — 2-ით ნაკლები. რამდენი ვაშლი მოწყვიტა გიორგიმ?

მოდი, ეს ამოცანა ასე ჩამოვაყალიბოთ: ჯემიკომ მოწყვიტა 10 ვაშლი, რაც 2-ით მეტია გიორგის მიერ მოწყვეტილ ვაშლების რაოდენობაზე. რამდენი ვაშლი მოწყვიტა გიორგიმ?

თუ კარგად დააკვირდები და სწორად გამოიყენებ შენი გონების იმ თვისებას, რომელსაც ლამაზი ვუწოდეთ, ადვილად მიხვდები, რომ ეს იგივე ამოცანაა, მაგრამ ცოტა „უკუღმართადაა“ ნათქვამი. ასეთი „უკუღმართული“ თქმა ხშირად გვჭირდება მათემატიკაში. ამიტომ ასეთ ამოცანებს სპეციალური სახელი ჰქვია: ამოცანები ირიბი ფორმით. განხილულ ამოცანაში გამოყენებულია სიტყვა მეტი. თითქოს გადიდებასთან უნდა გვქონდეს საქმე. სინამდვილეში კი შემცირება გვაქვს (კარგად დააკვირდი!) აი, სად არის ირიბი ფორმა

დავალება: 1.ჩამოაყალიბე ჩვენს მიერ შედგენილი ამოცანები (ნახე ჟურნალის წინა ნომრები) სხვადასხვანაირად, როგორც შეძლებ!
2. მოიფიქრე ამოცანები ირიბი ფორმით! გამოიყენე სხვადასხვა არითმეტიკული ოპერაცია.

მხატვარი თეა მიქაია



# შენი საუკეთესო მეგობარი



ყველა ბავშვის სანუკვარი ოცნებაა, ძაღლი ჰყავდეს. თუ ამ ოცნების ასრულება გაქვთ გადაწყვეტილი, ჩვენი რჩევები უეჭველად დაგეხმარებათ. გაითვალისწინეთ:

- ახალი მეგობრის მისაღებად ოჯახის ყველა წევრი მზად უნდა იყოს.
- შეამოწმეთ, სახლში ვინმე ძაღლის მიმართ ალერგიული ხომ არ არის.

## არჩევანი

თუ ზრდასრულ ძაღლს ირჩევთ, გაარკვიეთ:

- რატომ თქვა მასზე უარი ყოფილმა პატრონმა?
- მიჩვეულია თუ არა თქვენი რჩეული სახლის პირობებში ცხოვრებას?
- მიჩვეულია თუ არა ბავშვებთან ურთიერთობას?
- მიჩვეულია თუ არა სხვა შინაურ ცხოველებს?
- უყვარს თუ არა მოფერება?
- ემორჩილება თუ არა ბრძანებებს?
- ჯანმრთელია თუ არა?

თუ ლეკვი აირჩიეთ, გაითვალისწინეთ, რომ პირველ, ყველაზე მნიშვნელოვან თვეებში მისი წვრთნა და სწავლება თავად მოგიწევთ. ლეკვი ექვსი-რვა თვის ასაკში უნდა აიყვანოთ. მანამდე მას დედა და და-ძმა სჭირდება. წინდაწინ დარწმუნდით, რომ ლეკვი აზრიანი, მოძრავი, აქტიური და კარგად ნაკვებია.

## მოემზადეთ!

სანამ თქვენს ახალ მეგობარს სახლში მოიყვანთ, პირველ ყოვლისა, მოხერხებული საწოლი მოუმზადეთ. ძაღლს სჭირდება ისეთი ადგილი, სადაც დღისა და ღამის ნებისმიერ მონაკვეთში მშვიდად დაიძინებს.

ლეკვებს დღე-ღამეში 20 საათს სძინავთ!

ძაღლს დასჭირდება რამდენიმე ჯამი წყლისა და საჭმლისთვის, ძაღლის საყელო, სატარებელი თასმა და ამოსაცნობი საჭდე, რომელზეც თქვენი სახელი, მისამართი და ტელეფონის ნომერი ეწერება.

## ჯანმრთელობა

ლეკვებს მიდრეკილება აქვთ სიცოცხლისთვის საშიში რამდენიმე ინფექციისადმი, რომელთა თავიდან აცილება დროულ აცრის საშუალებით შეიძლება.

აცრათა უმეტესობა 12-14 კვირის ასაკში ექიმვეტერინარის რჩევით კეთდება.

თუ სახლში ბავშვი გყავთ, უმჯობესია, შეარჩიოთ ძაღლის ისეთი ჯიში, რომელიც პატარებისადმი განსაკუთრებით თბილი დამოკიდებულებით არის ცნობილი. ასეთია: **წვერიანი კოლი; ბორდერ-კოლი; ოქროსფერი რეტრივერი; ლაბრადორ-რეტრივერი; იორკშირ-ტერიერი; შოტლანდიური ნაგაზი**

**შინაური ძაღლები დანიშნულების მიხედვით სამ ძირითად სახეობად იყოფა: მონადირე, სასამსახურო და დეკორატიული ძაღლები.**

**მონადირე** ძაღლებში ერთიანდება ყეფიები, მადევრები (ბიგლი, ბარეტი, ფოქსჰაუნდი...), მწევრები, სოროს ძაღლები (ტაქსა, ტერიერი, ფოქსტერიერი...) მეძებრები (სეტერი, პოინტერი, კურცჰაარი, დრატჰაარი...) და სპანიელები.

**სასამსახურო** ძაღლებს იყენებენ საყარაულოდ, სამძებროდ, მარხილში შესაბმელად. ამ ჯგუფში შედის ნაგაზი, დობერმან-პინჩერი, დოგი, ერდელტერიერი, ბოქსიორი, ბულდოგი, სენბერნარი, ნიუფაუნდლენდი, რიზენშნაუცერი, როტვეილერი...

**დეკორატიული** ძაღლები (ჩიხუახუა, პეკინესი, პაპილონი, მოპსი...) საგანგებოდ ოთახის პირობებში საცხოვრებლად გამოიყვანეს.





## ირლანდიური სეტერი

სიმაღლე: 58-69 სმ
წონა: 23-29 კგ

როგორც ყველა მონადირე ძაღლი, ქალაქის პირობებში ცხოვრებისას, დიდ დატვირთვას, სირბილს და ვარჯიშს მოითხოვს. მიდრეკილება აქვს კანის დაავადებებისაკენ.



## როტვაილერი

სიმაღლე: 58-69 სმ
წონა: 41-61 კგ

როტვაილერი „გერმანელია“, ის ნაგაზთან არის შეჯვარებული, შეუძლია ფარას გაუძღვეს და უდარაჯოს. ძალიან გონიერია და არაერთხელ გამოუჩენია თავი საომარ ვითარებაში, სასაზღვრო თუ პოლიციის სამსახურში.

თუ ამ ჯიშის ძაღლს აირჩევთ, საზოგადოების თავშეყრის ადგილებში ალიკაპით ატარეთ.

## ტაქსა

სტანდარტული
სიმაღლე: 20 სმ
წონა: 9-10 კგ



წარმოშობით „გერმანელია“. არსებობს სტანდარტული და ჯუჯა ტაქსა. შეუძლია სოროში შესძიოს ნადირს. თავის ზომებთან შედარებით ძალიან ხმამაღლა ყეფს. თუ ყურადღებით არ იქნებით, შეიძლება მთელი ეზო გადათხაროს.

## მწევარი

სიმაღლე: 67-74 სმ
წონა: 29-41 კგ



საქვეყნოდ განთქმულ რუსულ მწევარს რუსი არისტოკრატები მგლებზე სანადიროდ იყენებდნენ. საერთოდ მშვიდი და ალერსიანია, მაგრამ ბავშვების ხმაურმა შეიძლება გააღიზიანოს.



## ბოქსიორი

სიმაღლე: 53-61 სმ
წონა: 25-32 კგ

ბოქსიორი გერმანიაში გამოიყვანეს. შეტევისას იცის წინა თათის დარტყმა მოკრივესავით (აქედან – მისი სახელი). დღეს მას მეომრები და პოლიციელები იყენებენ. ბოქსიორს ძლიერი და ენერგიული პატრონი სჭირდება.



## ჩაუ-ჩაუ

სიმაღლე: 46-56 სმ
წონა: 23-29 კგ

წარმოშობით ციმბირიდან ან მონღოლეთიდან არის. შემდეგში ჩინელი იმპერატორების საყვარელ მონადირე ძაღლად იქცა.

ჩაუ-ჩაუს მძვინვარე ძაღლის რეპუტაცია აქვს, ამბობენ, დაუმსახურებლადო, მაგრამ უცხოებს მაინც მოარიდეთ.



## უიპეტი

სიმაღლე: 43-51 სმ
წონა: 8-10 კგ

იყენებდნენ ინგლისში კურდღელზე სანადიროდ. ნერვიულია, ადვილად ღიზიანდება ბავშვების ხმაურზე. ძალიან მოკლე ბეწვი აქვს და ადვილად იწვება მზის მაღალ ტემპერატურაზე



## ესკიმოსური ლაიკა

სიმაღლე: 51-58 სმ
წონა: 16-27 კგ

ეს ჯიში ციმბირში ჩუქჩებმა მარხილში შესაბმელად და ირმების ჯოგის სამწყემსად გამოიყვანეს.

თუ ლაიკა საიმედოდ არ არის ჩაკეტილი, შეიძლება უჩუმრად სანადიროდ გაიპაროს.

## გერმანული პოინტერი

სიმაღლე: 53-66 სმ
წონა: 20-29 კგ



ნადირობს ცხოველებზე და ფრინველებზე, შესანიშნავად ცურავს, მრავალმხრივი ნიჭის პატრონია, რადგან რამდენიმე ჯიშის ნაჯვარს წარმოადგენს. თუ საკმარისი სამუშაო არ ექნა, მოიწყენს და მისი მართვა გაგიჭირდებათ.

არსებობს გერმანული პოინტერის ორი სახეობა: მოკლებეწვიანი და უხეშბეწვიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბავშვთა შემოქმედება



*სალომე ყარალაშვილი*
*VI კლასი*

## ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ

ქართველებს საოცარი ენა გვაქვს.
ამ ენაში უნაზესი ასოები არის გამოყვანილი და ეს იმის ნიშანია, რომ ჩვენ ბედნიერები უნდა ვიყოთ.

ქართულ მიწაში ჩვენებური ეშხია გამოხატული. ჩვენი უნიჭიერესი პოეტები ათასგვარ ლექსებს იგონებდნენ და შიგნით ათასგვარ ბრძნულ აზრებს დებდნენ.

„აი ია, აი შენი „დედაენა“.
აკვნიდანვე რომ გაჩუქა მზე და რწმენა.
აი ია – საოცრების დასაწყისი,
საუკუნეს რომ ანათებს ძალა მისი!“

ქართული ენა ყველაფერს სჯობია. შეიძლება ამით ვიტრაბახოთ, მაგრამ ქართული სიტყვის კონას საოცნებო სურნელი აფრქვევია.

*ნუცი დალაქიშვილი*
*გორის არასახელმწიფო საერო სკოლა-ლიცეუმის მოსწავლე*

***

ლურჯთვალა ია,
ყვავილთა ფერია,
გაზაფხულის წვიმას
შენთვის უმღერია.

***

მინდორშია ბერიკაცი,
ყაყაჩოებს კრეფს
და ღიმილით იხსენებს
ყმაწვილობის წლებს.
ფანჯარასთან დედაბერი
მოლოდინში თვლემს,
ესიზმრება – ყმაწვილი,
ყაყაჩოებს კრეფს.



*ზურამ გვაზავა*
*აბაშის რაიონის სუჯუნის საშუალო სკოლის IV კლასის მოსწავლე*

## გემი – ჩემი ოცნება

იცით რა, ძალიან, ძალიან მინდა რომ მეზღვაური გავხდე, მყავდეს ჩემი გემი, იქნებ ეს ჩემს დიდ ბაბუზე მოგონებებს უკავშირდება? ჩემს გემში ჩემთან ერთად სამოგზაუროდ წავიყვანდი ანას, ქრისტინას, გიგას, ლევანს და არც პატარა გვანცას დავწყვეტდი გულს.

ლევანი იქნებოდა ბოცმანი, გემის საჭეს ის მართავდა, მე კი... მე აუცილებლად დავიმშვენებდი კაპიტნობას. გავხედავდი ზღვის მოლივლივე ტალღებს, ავაგუგუნებდი გემს, როცა ჩემი გემის ალამი აფრიალდებოდა, მაშინ რა სიხარულს ვიგრძნობდი?! ნაპირიდან ჩემი მშობლებისა და ახლობლების სახეებს დავინახავდი, რომლებიც ხელის ქნევითა და მშვიდობით დაბრუნების სურვილით გამაცილებდნენ...

მაგრამ ეს ხომ ჯერ ოცნებაა.



*ნიკა მინაშვილი*
*VI კლ. მოსწავლე*
*შავსაყდრის (ქვემო ქართლი) საშ. სკოლა*

## ალგეთს

თქვენი დიდება ალგეთის მთებო!
თქვენი დიდება ალგეთელებო!
თქვენზე სიმღერის გაისმის ექო;
შენ გენაცვალე, მამალო მგელო!

## დედას

დედავ, ფიქრიან თვალებში,
ბორჯღალა მზე გაქვს მდგომარე,
ერთი შენ გპოვე გულისა –
ქვეყანა შემოვიარე.

თავს შემოგევლე,
ნუ გამიწყრები
და ნურც იდარდებ –
ჭირი მოგპარე.

# წელიწადის ოთხი დრო




„წელიწადის ოთხი დრო“ – ასე ჰქვია საბავშვო ვოკალურ ჯგუფს, რომელსაც „დილის“ მკითხველებისათვის კარგად ცნობილი კომპოზიტორი, ქალბატონი მაიკო ელოშვილი ხელმძღვანელობს. ყველა ის ახალი სიმღერა, რომელიც ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე იბეჭდება, პირველად ამ ანსამბლის წევრების მიერ სრულდება. სულ მალე ჯგუფი მეორე აუდიო ალბომითა და კომპაქტ-კასეტით გაახარებს მსმენელს.

ვიდეოსტუდია „ალემარი“ გთავაზობთ მულტიპლიკაციურ ფილმებს ქართულ ენაზე, ლიცენზირებულ კასეტებზე, ასევე ფილმებს ორიგინალის ენაზე (ინგლისურად, გერმანულად, ფრანგულად და ა.შ.).
დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 93-56-15.



გილოცავთ დაბადების დღეს
მარიამ ბოხუა
ელენე გაგუა
შაკო მეგულაშვილი
ივიკო მგალობლიშვილი
საბა და დავით ასანიშვილები
მარიამ გუჯაბიძე
ირინა აბაშიძე
ლიკა კუსიაძე
ქეთი ზუკაკიშვილი
რატი მეზვრიშვილი
თათია კოპაძე
2004
ალექსანდრე ქრისტესიაშვილი
ეგნატე ცაავა
ლუკა მაისურაძე
ლაშა ფარცხალაძე
პაატა ფერაძე
ლუკა მაჭავარიანი
თეონა და თამუნა ცილიკიშვილები
დეა შათირიშვილი
მარიამ კორბენაძე
სალომე რურუა
ნიკუშა ბელაშვილი
ცოტნე ხაბეიშვილი